

მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსნან კეთილმან სული თვისი დასდღეს ცხოვართათვის. იოან. 10—11.
შავე ცხოვარი ჩემი წაწყვედული. მსრეთ იყოს სიხარულ კათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.
მოვედით ჩემდა ყოველნი მამუარანი და ტვირთ-ამბინენ და მე განგისვენეთ თქვენ. მათ. 11—28.

№ 17

1883—1902

15 სექტემბერი

ერთი სამწყემსარო და ამავე დროს სასინამოყნო მოკლენხ.



ადგა ყველასათვის სასიხარულო და სამგლოვიარო დრო. მიაწყდენ ყოველ სასწავლებელს აუარებელი მიზოვნელები. ყველა გულის ძვრით მოელის მასში შესვლას. განიხილეს თხოვნები როგორც თვით მოწაფეთა, ისე მათ მშობლებთა. გამოსცადეს ყველანი და მიიღეს უმცირესი ნაწილი მიზოვნელებისა, რომლებიც მეტის-მეტად იხარებენ მშობლებითურთ და ღმერთს მადლობენ. ხოლო უმრავლესობა გულდაწყვეტილი, თვალ-ცრემლიანი უკან ბრუნდება.

ერთი სასწავლებლიდან მეორესაკენ მიეშურებიან, მაგრამ სხვა სასწავლებლებიდანაც ისევ გულდაღონებულნი უკან ბრუნდებიან. მოსწავლეთა მისაღები ადგილები არის 20, 40, 60, 80 და 100—მიზოვნელების კი—50, 100, 200, 300 და 400. ეს სამწყემსარო მოკლენა ამ უკანასკნელ დროს ჩვეულებრივი შეიქმნა ყველა სასწავლებლისათვის. მხოლოდ ჩვენს სასულიერო წოდებაში ღღეს სულ სხვას ვხედავთ. ამბობენ, რომ თბილისის სემინარიაში კიდევ დარჩა ცარიელი ადგილი მოსწავლეთა მისაღებადო, ვგზამენი ვერ დიკავეს იმ მოწაფეებმა, რომელნიც ოთხ-კლასიან სასწავლებელთა სამმართველოდან წარდგენილნი იყვნენ სემინარიის პირველ კლასში შესასვლელადო. ძლიერ გასაკვირველია ეს ამბავი. სამღვდლოებებს ამდენი ფული ეხარჯება სასწავლებლის შესანახავად, სასწავლებლის სამმართველონი მოწაფეებს სცნობენ ღირსად


სემინარიის პირველ კლასისათვის, მაგრამ გამოკლის დროს ეს კაცები უვარგისნი აღმოჩნდებიან ხოლმე. დღეს სასწავლებლებში და სემინარიებში ქართველთაგანი მასწავლებლად თითქმის თითო-ორ-ორის მეტი აღარ არიან; როგორც სასწავლებლებში, ისე სემინარიებში უმალდესი სწავლით აღტურვილნი არიან და რა ამბავია ეს, რომ ერთი სცნობს მათ მომზადებულად და მეორე მოუშვადებლად? იქ აღარა ითქმის რა, სადაც ადგილის უმეჭონებლობისა გამო უსწავლელად სცნობენ შევირდებს; დიად, დასაფიქრებელი საქმე და მოვლენაა ყველა ერთ...

ქუთაისში ვთხოვეთ სასწავლებელს ვერ ნახავდით, რომ მისაღები ადგილების მიხედვით, მთხოვნელები ოთხჯერ და ხუთჯერ მეტი არ ყოფილიყოს. ყველა ამ სასწავლებლიდან ერთად ერთი ქუთაისის ოთხკლასიანი სასულიერო სასწავლებელი განირჩეოდა. ამ სასწავლებლის სიახლოვეს დღეს ვეღარ ნახავდით იმდენ მთხოვნელების გროვას, როგორც წინეთ იყო ხოლმე. წინეთ აქ მოსამზადებელ კლასში მშვენივრად მომზადებული ბავშვები შეყავდათ, ოღონდ ადგილი დაეჭირათ და მეორე წელს უარი არ ეთქვათ მიღებაზე. ამ წელში კი, ზოგიერთ შემთხვევებში მასწავლებელი, პირიქით თხოვდა ყველას ბავშვები შემოეყვანათ, რომ კლასი არ დახურულიყო. ძლივს ძლივობით მოუყარეს ბავშვებს თავი და არა თუ გამოსცადეს წინანდებურად, არამედ სრულებით არა გამოუკითხავთ რა ბავშვებისთვის და დასაწყისის კლასში „ინჩის“ უცოდინარსაც იღებდენ!...

დიად, სამღვდლოებას გაუტყდა გული, დაპყარა იმედი ერთ-ერთ თავის საიმედო სასწავლებელზე და საერო წოდების სასწავლებლებს მიაშურა. აღარაინი მიაქცია ყურადღება ლედნარელის და ბ. ა. გ.—საგან ქებას და მტკიცებას, ვითომდა ქუთაისის ოთხკლასიანი სასწავლებელი უპირველესი იყოს ყოველ ოთხკლასიან სასწავლებლებში. ბევრმა მშობლებმა გამოიყვანა თავიანთი შვილები სასულიერო სასწავლებლიდან და იმათაც, რომელთაც შესაყვანი შვილები ჰყვანდა, ერთად მიაშურეს გიმნაზიებს და რეალურ სასწავლებლებს. დიად, ეს დასაფიქრებელი ფაქტია ყველასათვის. ერთის მხრით სამწუხარო, მაგრამ მეორეს მხრით სასიამოვნო. ეს ფაქტი ცხადად ამტკიცებს, რომ

სამღვდლოება მიხვდა თავიანთი შვილების სასარგებლო და სახარალოს; სამღვდლოება ბოლოსაც მიხვდა, რომ საერო სასწავლებლებში ცამეტი წლის განმავლობაში უნივერსიტეტს ასრულებენ და სასულიერო სასწავლებლებში კი,—ღიდის უზღულურებით სემინარიას ძლივს ათავებენ და 30—40-ში ათს იქნება მიეცეს უფლება უმალდეს სასწავლებელში შესვლისა. დრო არის, დრო სამღვდლოება ამაზედ დაფიქრდეს და, როცა ათი და ოცი ათასობით ხარჯს ეწევა სასწავლებლისათვის, იმასაც მიაქციოს ყურადღება, თუ რა ნაყოფი მოაქვს ამდენ ფულების ხარჯს... საქიროა უფრო ერთგულად დაუპყირდეს და გამოიკვილოს თავიანთ სასწავლებლების მდგომარეობა...

დ.კ. ჯ. დამაშაძე.



ქართული გალობა ვეირილის ეკლესიაში.

ღიდის ხნიდან მეკადნივობდა ვეირილის ეკლესიის წინამძღვარი, რომ რიგიანი ქართული გალობების გუნდი დაეარსებინა ხსენებულ ეკლესიაში და ბევრიც ეცადა რუსული გალობის მასწავლებლებთან — წერეთელთან, მალრამქსთან და კელენჯირიძესთან, მაგრამ არა იქნა რა. ისინი ამბობდენ: რუსულად შეგვიძლია ვასწავლოთ და ქართულის არა ვიცით რაო. ივნისის თვიდან მოუწოდა საჩხერის სკოლის გალობის მასწავლებელს—ჯინჯელაშვილს, რომ გაეწყო ქართულ მგალობელთა გუნდი და ესწავლებინა ფილიძისავე დადებულ ნოტებით. აღმოსწინდენ მსურველები, მაგრამ ფულის საშუალება მათ არ ჰქონდათ. ფულის სახსარიც თვითონ დეკ. დამაშაძემვე აღმოუჩინა იმ პირობით, რომ შემდეგ გამოურიცხავს მათ მისაკემ ფულიდან, რომელსაც ყოველ წირვაზე გალობისთვის მისცემს მათ და როცა ვაღს გაისტუმრებენ, მევე მიცემულ ფულებს თავიანთ სახარგებლოდ წაიღებენ. ცოტა დროის განმავლობაში ისე მშვენივრად შესწავლეს ეს გალობა, რომ ყველას აკვირებენ. მწუხრზე და ცისკარზე ზოგიერთ საგლობლებს ისე მშვენივრად გალობენ, რომ მეტათ ატყობენ მლოცველთა სმენას...

სოფელს სვირში ამ ზაფხულობით იყო მიზა-
ტივებული გალობის სასწავლებლად ჩვენი ცნობი-
ლი მგალობელი მღვდელი რაჟდენ ხუნდაძე, რომე-
ლიც 8—10 კაცს ასწავლიდა ქართულ გალობას.
კილო ხუნდაძის გალობისა და ფილიმონ ქორძის
ვადაღებული ნოტებით, სხვა-და-სხვა არის და საზო-
გადოებაში ამ სხვა და სხვაობამ რაღაც არა სასია-
მოვნო მითქმა-მოთქმა დაბადა. მღვდელმა რ. ხუნ-
დაძემ ითხოვა ყვირილის ეკლესიის წინამძღვრის
ნება-რთვა ყვირილის ეკლესიაში გალობისა 15
მარიაამობისთვის. წინამძღვარმა მისცა ნება. მამა
ხუნდაძემ მოიყვანა მისგანვე ნასწავლი—სვირში
მცხოვრებნი გლეხები სახელდობრ: ივანე გეწყაძე,
ანდრია ორბელაძე, სპირიდონ ხიდაშელი, ალექსი
გიორგაძე, დათა კვანტრაშვილი, მოსე ხიდაშელი,
სამსონ წაქაძე და ბასილა მაღლაქვეციძე. ამათ იგა-
ლობეს მშვენიერად მთელი წირვის წესი ხუნდაძისვე
ლოტბარობით. ხშირად შეგხვდებოდა გალობის მოს-
მენა მამა ხუნდაძისაგან ნასწავლთა და ფილიმონ
ქორძის ვადაღებულ ნოტებით ნასწავლ მგალო-
ბელთაც. ზოგს მოსწონს ერთი და ზოგს მეორე.
ზოგი ღრჩევის მსურველთ ხუნდაძის კილო ისწავლან
და ზოგი—ფილიმონ ქორძისაგან ვადაღებულ ნო-
ტების გალობას. სამწუხაროა, რომ დღემდისინ არა-
ვინ განუშარტა თვით გალობის მკოდნემ ცნობის
მოყვარე საზოგადოებას განსხვავება ამ გალობათა.
ფილიმონ ქორძის მამა ხუნდაძემ, წყრეთელმა და
ქალაგანიძემ ვადაღებია ქართული გალობა ნოტებ-
ზე, მაშასადამე იმავე რაჟდენ ხუნდაძის გალობა არის
ერთიკა და მეორეც და წინააღმდეგობა ამ ორი
კილოს გალობაში არა არის რა. ხუნდაძის გალობა,
რომელსაც ის ასწავლის ხალხს არის სადა, უბრალო
და არა ჭრელი და კლიმანჭურიანი. ქორძისაგან
ნოტებზე ვადაღებული გალობა კი, გამშვენებული
და უფრო სადღესასწაულო, გრძელი. გალობის ნო-
ტებზე ვადაღების დროს ერთი დიდი შეცდომა მო-
ხდა. პირველად უნდა შედგენილიყო სადა, უბრა-
ლო კილო, საადვილო ყველასათვის და შემდეგ
გამშვენებული და გრძელი. თუ საზოგადოებაში
უბრალო, სადა კილოს გალობა გავრცელდა, შემ-
დეგ გაფარჯიშებული გალობაც ადვილია. რუსებს
ერთნაირი უბრალო კილოს გალობა აქვთ წირვისა,
რომელსაც წირვაზე თითქმის ყველა მლოცველი

გალობენ და დღესასწაულ დღეებში ან მღვდელთ-
მთავრის წირვის დროს კი გამშვენებული კილოთი
გალობენ...

ეს ასეც უნდა იყოს. მშვიერ კაცს სხვა-და-სხვა
მოხრაკულ და შემწვარს კი არ მიართმევენ, სულ
უბრალო საქმელებს მიუტანებენ და შემდეგ უფრო
კარგად მომზადებულს.

მამა რაჟდენ ხუნდაძეს მშვენიერი აზრი მოუ-
ვიდა, რომ უბრალო, სადა კილოს გალობის ნოტე-
ბი შეადგინა, რომელიც ყველას ადვილად შეუძლია
შეისწავლოს ზეპირად და თვით იგალობონ ულოტ-
ბაროდ. თუ ასე არ იქნა, ჩვენი გალობა არ გავრ-
ცელდება, რადგან ლოტბარს ყველგან ვინ იშოვის
და სად არის მათი დასაქირავებელი ფულები? მ. რაჟ-
დენ ხუნდაძისაგან შედგენილი სადა გალობა ძლიერ
სასიამოვნო მოსსმენია და ადვილად შესასწავლი.
ერთი ათიოდეჯერ რომ მოისმინონ ეს გალობა,
თითქმის ბევრი შეისწავლის და ამით არის კარგიც.
მეორე კარგი მხარეცა აქვს კიდევ მის გალობას.
პირველი ხმა შეიძლება ცალკე დაიბეჭდოს ნოტებ-
ზე და ამ ხმაზე შეუძლია ყველას იგალობოს კიდევ.
იქ კი, სადაც გამშვენებული კილოს გალობა შეის-
წავლეს, თუ სამი პირი არ არის ერთს არ შეუძლია
გალობა. ხუნდაძის გალობა კი, სხვა რიგად არის
შედგენილი. პირველი ხმა, რომ დაიბეჭდება მერე
მეორე გამოვა, მერე მესამე; პირველი ხმა ერთსა
და იმავე დროს ერთსაც შეუძლია და სამსაც.

სამღვდელოების კრებამ ვადასწყვიტა თითვე-
ლი ეკლესიიდან თითო მანეთის გამოღება ნოტე-
ბისათვის და რატომ ბრკოლდება ეს საქმე არ ვი-
ციტ. ამბობენ, რომ ქუთაისში დაიწყეს ამ გალობის
ნოტებზე ვადატანა, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ იბეჭ-
დება კარგად. საქირო კი არის ყველა დაეხმაროს
ამ საქმეს და მალე დაიბეჭდოს ქართული გალობა
ნოტებზე.

დამსწრე.

ეკლესიის სოციალიზმთან მიუცილებელი წინაღობები.

(თარგმანი „Странник“-იდან).

სოციალური კითხვა თეორიითურთ, ანუ კითხვა ადამიანის კეთილ-დღეობის მოწყობაზედ ამა ქვეყნად წარმოადგენს ამ ჟამად საჭირო-ბოროტო დანაშთს წარსულის საუკუნისას. ეს თეორია თვისი სიმარტივით უქვეყნად გავლენას იქონიებს დაბალ ერთა წრეებში, რადგან მას აქვს სახეში კომმუნური შეხედულება საკუთრებაზედ და მის სარგებლობაზედ და, რადგან მიზნად აქვს ქრისტიანული ძიობის დაარსება ამ ქვეყნად. თუ დაუკვირდებით ამ სწავლას, იგია რაღაც თვალთმაქცობა თვისის სიკრთობა, ამისათვის წინააღმდეგობა მასთან მით უფრო საადროა, რადგან მან თვისს ბედში მრავალი გახვია. საქმე არაა რებრესიული ზომების მიღებით დაკმაყოფილება მაშინ, როდესაც ამ სწავლამ ადამალა თვისი ხმა ქუჩაში, თუ შეიძლება ასე ვთქვათ. ნურც მით ვინუგვებთ თავსა თითქოს ეს სწავლა იყოს დასავლეთ ევროპის ცხოვრების ნაყოფი, რომლისაგან ჩვენ განზედ ვდგევართ! შტუნდინიცი კი, იგივე სოციალიზმი, სარწმუნოების ქერქში გახვეული, დასავლეთ-ევროპის ცხოვრების ნაყოფია, რომელსაც ძლიერ გაუღდავს ფესვი ჩვენში. თუ მასთან იმი ჯერ-ჯერობით ისე არაა გამწვავებული ეს იმის მიზეზია, რომ საქმად არაა შეგნებული ამ სწავლის სიყალბე ყველასაგან. აი დღემდისინ ვერც ერთ სახალხო წიგნაკს ვერ წააწყდებით, სადაც გარკვევით იყოს ნაჩვენები უსაფუძვლობა და არაობა ამა სწავლისა. ხოლო მქადაგებლებში ერთი, განსვენებული ყოვლად სამღვდლო ამბროსი შეეხო ამ ბოროტებას ერთს სიტყვაში, რომელიც (ბოროტება) სოკოსავით გამრავლდა, ყველგან უმაღლესს სასწავლებლებიდან დაწყებული ქარხნებამდე და გლეხებშიაც კი იჩინა დღეს თავი. რადგან კითხვა ადამიანის კეთილ-დღეობის მოწყობის შესახებ და კითხვა ღმერთზედ ერთი და იგივეა მხოლოდ მეორეს მხრიდან აღებული, როგორც სამართლიანად შენაშნავს ამას განსვენებული თ. ა. დოსტოევსკი, ამისათვის იმი ამ ცრუ თეორიასთან, რომელიც სარწმუნოებას

ეხება, საჭიროა როგორც პოლიტიკოსს-ეკონომოსთ და სოციოლოგთ, ისე ეკლესიის და მის წარმომადგენლების მხრითაც. მაშასადამე სასულიერო შწერლობა ვალდებულია გამჭრიახის თვლით შეხედოს ამ კითხვას და გამართოს მასთან ბრძოლა. ურუნალ «Вѣра да Разумъ»-ში იყო ამისთანა შინაარსიანი სტატიები უკვე მღ. გალახოვისა, რომლებთანაც გავაცანით ჩვენი მკითხველები თვის დროზედ. (№№ 5 და 8 „Прав. Рус. Слово“).

მღ. კ. ანთაძე.

ყოვლად სამღვდლო იმერეთის ეპისკოპოსის ლეონიდისგან დღესასწაულობითი წირვა შიომღვიმის მონასტერში 21 წარსულ თებერვალს. ეველიერის ხუთშაბათს.

(გაგრძელება *)

გამოკლევა. 1) სინოდის კანტორის საქმისაგან, რომელიც დაწყებულია 3 სექტემბერს 1817 წელში, ეპარქიების მონასტრების, ეკლესიების და სასულიერო სასწავლებლების შესახებ ქართლ-კახეთში და იმერეთში, სჩანს, რომ გორის მაზრაში იყო ქვაბთახევის შტატის მონასტერი, რომელზედაც მიწერილი იყო შიო მღვიმის უდაბნო; 2) უწმიდესი სინოდის უქაზით, 30 იანვრიდან 1819 წლისა სჩანს, რომ ქვაბთახევის უდაბნოში შიო მღვიმის უდაბნოს ზედ მიწერთ დადებული იყო შტატით ერთი წინამძღვარი, ოთხი მღვდელ-მონაზონი, ორი ბერ-ღიაკონი და ოთხი ბერი; 3) უწმიდესი სინოდის უქაზისაგან, 30 აპრილიდან 1849 წლისა № 3844, სჩანს, რომ 1822 წელსა, როცა ეკლესია და სხვა შენობები დაქველდნ და ძმათა რიკვეთი შექცირდა, მაშინ ეს უდაბნოები უმაღლესი ნებართვით გადაყვანილ და მიწერილ იქმნენ თბილისის ფერცვალეზის მონასტერზე. 4) უმაღლესი ბრძანებით, მოხდენილის ნომბრიდან 1852 წლისა, ქვაბთახევის

*) იხ. „მწეგეო“ № 15—16 1902 წ.



მონასტერი კვალადვე აღდგენილ არს და შტატის წყობილებათ დადგინდა წინამძღვარი, ორი მღვდელ-მონაზონი, ერთი დიაკონი და ორი მორჩილი. მათ შესანახავად, ეკკლესიის საჭიროებათათვის და მოსამსახურეების დასაჭირავებლად ყოველ წლობით ყელვეთ ქართლ-კახეთის საეკკლესიო ხაზინიდან 82წ მანეთი. შიო მღვიმის მონასტერი კი ისევ ზედ მიწერილად დარჩა ფერიცვალების მონასტერზე და სამსახურისათვის უდაბნოში იგზავნებოდა ხოლმე ფერიცვალების მონასტრიდან ერთი ბერი, მორჩილი და მოსამსახურე; 5) უძრავ მამულების სიდიდან, რომელიც შედგენილია 5 ნოემბერს 1852 წელსა, უმაღლესად დამტკიცებულისა, 7 და 8 მუხლებში ნაჩვენებია: მიწდროი ტყიანი ადგილით შიო მღვიმის უდაბნოსის მის გარშემო და ბალი სოფელს ძველში ამა უდაბნოსისა კუთვნილი. ხაზინადარი სინოდალნი კანტარისა არღაზიანი თავისი რაპორტით 28 ნოემბრიდან წარსული წლისა, მოახსენებს კანტარას, რომ მან და კანტარის წვერთავგანმა არქიმანდრიტმა მაკარიმ შეიტანეს თბილისის სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში მისი მაღალ ყოვლად უსამღვდლოესობის მთავარ ეპისკოპოსის პავლეს ბრძანებით 21000 ათასი მანეთი, რომელიც შემოიტანა მათმა ყოვლად უსამღვდლოესობამ ალექსანდრემ საქართველოს ეპარქიის ვიკარმა შიო მღვიმის უდაბნოსის სასარგებლოდ, რაზედაც მიღებულია ბანკის წიგნი № 12880 და რომელიც შთაწერილ არს სინოდალნი კანტარის თანახმა ვადასაცემ შესავალ-გასავლის წიგნის 327 მუხლში.

ბრძანეს: „იქმნეს აღძრული შუამდგომლობა უწ. სინოდის წინაშე, შიო მღვიმის უდაბნოს შტატის წარდგინებით და ამ უდაბნოს გამორიცხვით თბილისის ფერიცვალების მონასტრიდან, ყოველივე თავისი ქონებით და უძრავი მიწებით და გამოთხოვნილი იქმნეს დამტკიცება ახალი წარდგენილი შტატისა, მით, რომ გამგებმა მისი მიენდოს ყოვლად სამღვდლო ალექსანდრეს; შემდეგ დროებში შიო მღვიმის მონასტრის გამგებმა მიწდრობილი იქმნეს ქორეპისკოპოსებისადმი ქართლის ეპარქიისა; ამასთან ვალად დაედგინოს ყოვლად სამღვდლო ალექსანდრეს, წარმოადგინოს სინოდალნი კანტარაში დანარჩენი ასი მანეთი ხუთი სარგებლიანი ბილეთის შესაღვენად; დანარჩენ თხოვნებზე მას უარი ეთქვას“.

აი შინაარსი სინოდალნი კანტარის განჩინებისა, მოხდენილი სინოდალნი კანტარისაგან მათი მეუფების ყოვლად სამღვდლო ალექსანდრისაგან შეტანილ რაპორტზე, შიო მღვიმის უდაბნოსის განახლების შესახებ. რამდენად დამკაყოფილდა თხოვნა მათი მეუფებისა სინოდალნი კანტარისაგან, ამაზე ჩვენ არაფერს ვიტყვი, რადგან მკითხველიც კარგად მიხვდება ყველაფერს. ამ დროიდან ჯერეთ მარტო მათი მეუფება ყოვლად სამღვდლო ალექსანდრე ნიადგე შრომობდა და თავისი ლუკმას არ იშურებდა და არ იშურებს ამ შესანიშნავი უდაბნოსის გამშენებისათვის. როცა მათი მეუფება დღინიშნა გურია-სამეგრელოსის კათედრის მღვდელთმთავრად, გამეგობა შიო მღვიმის მონასტრისა და წინამძღვრობა მიენდო მათ მეუფებას ლეონიდს, მაგრამ აღმაშენებლად ისევ მათი მეუფება ყოვლად სამღვდლო ალექსანდრე ბრძანდება. ამ ორ მღვდელთ-მთავარს მიუყვითა ხელი აშენებენ და ამკობენ დროთა ვითარებისაგან აოხრებულს და დანგრეულს უდაბნოს და გულსაკლავად ყველასაგან მიტოვებულს.

უძველესი ეკკლესია, სადაც არის მღვიმე შიოსი, გაოხრებული იყო. დღეს ეს ეკკლესია მშვენივრად შემკობილია და მთელი კედლები ეკკლესიისა საუცხოვოდ მოხატულია მათი მეუფების ლეონიდის მეცადინეობით.

ამ უდაბნოში არის დიდი შესანიშნავი ტაძარი დავით აღმაშენებლისაგან აღშენებული. ჩრდილოეთის მხრით ეს ეკკლესია, შვავად წამოსული მიწისაგან თითქმის დიფარული იყო და სამხრეთის მხრიდან მოჩანდა, მაგრამ დღეს დიდი შრომისა და მუშაობის წყალობით, თითქმის გამოჩენილია უმათერესი ნაწილი კედლისა ჩრდილოეთის მხრით. მათ მეუფებას ყოვლად სამღვდლო ლეონიდს, რომელსაც ბევრი უშრომიამა ამ კედლის გამოჩენისათვის, სურს, რომ სულ მთლად გამოაჩინოს ეკკლესიის კედელი ჩრდილოეთის მხრით. ეს ეკკლესია დიდებულია და დავით აღმაშენებელს ბევრი ზრუნვა მიუღია ამ ტაძრის აშენებისათვის.

შესანიშნავია დავით აღმაშენებლის ანდერძი შიო მღვიმის ამ შესანიშნავი ეკკლესიის და საზოგადოდ მთელი უდაბნოს შესახებ, რომელიც აქვე მოგვყავს გამოკრებით:

„(ნე)ბითა ლეთისაითა შედაის შეწყის(? *)
 ვაშსა ჩემსა შარვან(სა ზედა) გაცნა(რ)თვისასა
 შევეცდრე შევეწინად ჩემდა შესავედრებელსა ჩემსა
 წმიდასა მამას შიოს. ვიხილე ეკლესიაჲ ჩემ-მიერ
 აღშენებული (და)სრულებულიაჲ; და მივიღე ლოცვა
 ყოველა მამათაჲ, და სასომან და განმანათლებელნიან
 ჩემნიან ბერნიან არსენი მიბრძანა ამის ანდერძისა და-
 წერა. (ხოლო) დაკლებული სისწრაფისაჲ არს. თუ
 ინებოს ღმერთნი ჩემი შემოკცევაჲ, უძგობესად
 შეიცვალოს; თუ არა, ესე იყოს აწინდელი.—ვისი-
 თვან მსთუადმან წყალობად და სულ-ღვრილნიან მზე-
 დველობათა შინა ცრდვათასა და წყალობითა სიყუ-
 არულისა თვისსა მიმართ მიზიდველნიან ღმერთნი
 ჩემ უღირსსა ზედა აჩუქნა მიუწოდოელი ქველის-
 მოქმედებანი, რომელთათჳს ყოვლად უმადლოი ესე
 ჯგერისაებრ ვერ-მადლობელიცა არა მომიძაგა და
 არა დააცადა ჩუტულებითა წყალობა დღეს-დღემდე
 უგბილსა სულსა ზედა, რომელთაჲ კერძოჲ რამეჲ
 და უბრცულოვან ერთი მიზეზად თხორობისაჲე მიეს-
 ცვე თხორობასა. თითი იგი ოღეს მარწყუნა (sic) მის-
 მიერ განგებულსა მეფობასა თვისთა რაათამე განგე-
 ბითა არა-უღირს-მჩენელმა შარვანდსა შინა პატე-
 რსანსა უპატიოებისა ჩემისანიან; აქითგანვე აღიღო
 კელი სიტკბოებისა თვისთა განძღებდ ჩემდა, და
 თუთ მეფე მეფეთაჲ იქმოდა საჭირველთა უქირვე-
 ლად; ცხადთა წინააღმდეგითა განმგობისა თვისსა-
 თა მისცემდა მოსასრველად; იღუშალოთა კულად
 ზაკუვისათჳს შორის მფარველთა არა შეუნდობდა
 სიტბილად, რომელთა თანად თუთ მიიღეს ზაკუვისა
 მათისათჳს საცთური. მადლობა აღუფარე დამბადე-
 ბელსა ღმერთსა და თაყუანისცეკ ღმერთ-შემოსილი-
 სა წმიდისა მამისა შიოს-სა საფლავსა. ვიხილე წმიდა
 მთავარ-მამი, მეღვწე მიქელ, და სულითა ღვთისაჲ-
 თა განათლებულნი მამანი; გინვიშუ სულითა საწა-
 დელისა მისთჳს კრებულისა და მხიარულებით აღ-
 ვიფხე სამოთხის მსგავსისა მის ლავრისათჳს. მყის მო-
 უწოდე არსენის ბერსა და განუცხადე სათნოა ჩემი
 და ვარწყებდ აღშენებდ ეკლესიაჲ საშუალ მონას-
 ტრისა, სახელსა ზედა ყოვლად წმიდისა ღვთის-


მშობელისასა, და მომადლებითა მისითა სრულად
 ვიხილე,—მიბრძანა სასომან ჩემნიან, ბერნიან არსენი,
 და თუთ სულიერმან ბერნიან, მოძღუარმან ჩემნიან,
 ი-ე (იოანე), რათამცა წესსა ზედა სუმონ-წმიდისასა
 დაესხენ მონასტრისა მღვმისა წესნი, რომელი თუთ
 მათ-მიერ აღწერილი ვიხილე ყოვლად შუწნიერად,
 უცთომელი გზა და წესიერი ცხოვრებაჲ და ანგე-
 ლოზებრი მოქალაქობაჲ, რათა ღვთისათჳს ოდენ
 განკუ(თვნილ)ნი, მას მხოლოსა, თვნიერ საწუთუ-
 თასა, ზრუნვასა ჰზრახვიდენ (და წინაშე ღვთისა)
 მეოხებად კანდიერ იყვნენ.—შეწვევითა ყოვლად
 სახიერისა ღვთისაჲთა და მადლითა ყოვლად წმი-
 დისა ღვთისმშობელისაჲთა და მეოხებითა შესავედ-
 რებელისა ჩემისა წმიდისა შიოჲსითა მიეცინ სიმტ-
 კიცე ეკლესიასა, ჩემ-მიერ აღშენებულსა! თუ მე
 ღირს-მყოს ღმერთნი ენკებობაჲ მისი ვიხილო, კურ-
 თხეულ არს სულგრძელებაჲ მისი, თუ არა—არსენი
 ბერსა, რომელ აქუს კონსტანტი და პერპერაჲ, კა-
 ლაზორი გამიუყარონ, მონღესენ, მოხატონ, და
 ძემანი ჩემნიან (დემეტრე), თანადგომითა კურთხულის
 მწუთ-უხუცესის დმ ჩემთა ბერთაჲთა, აკურთხოზ
 კელითა იოანე ქართლისა კათალიკოზისათა თანა
 დახულობითა იმერთა და ამერთა ყოველთა ეპისკო-
 პოსთაჲთა.—ვითარდ მამათაჲ და პაპათა ჩემთაჲ
 სიგელნი ჰქონან სოფელთათჳს მათთა წმიდასა ამას
 უდაბნოსა, რაჲცა სიბოროტითა ემთათა შეცვალე-
 ბულ იყო, მე კულა გამიხსლებიან იგი სიგელნი
 ანუ მეფეთა შეწირულთა ანუ მთავართა ვითომე და
 თუთ ძუტლი და ძუტლისა-ძუტლი ნასყიდი მონასტ-
 რისაგან, ყოველი უბეგროდ, უბაჟოდ და უწყინ-
 ლად კულა მომიკსენებია წმინდისა მამისა შიოს-
 თჳს.—ქალაქ ტფილის, რომელი სპარსთა ქონებას
 ჰქონებია და რომელი აწ უყიდი და რომელი მე
 მომიკსენებია იგი და ანუ წადმართ მოიგონ იგიცა,
 ყუფლაჲ უბაჟოდ და უსუბრაოდ (sic) ყოვლისა სა-
 მფეოჲსა გამოსავლისაგან ჰქონდეს. ვითა წინამძ-
 ლურსა შუჯულისა ჩუენისასა მიუფესა იოვანეს ქარ-
 თლისა კათალიკოზსა უბრძანებია და მიუნიჭებია
 ეკლესიისა ჩემისა-და, რომელ საქანებელნი სოფელ-
 ნი და ავარანი ჰქონან, მღვმისა საშუჯულოჲ სამრე-
 ვლოჲ არს ყოველგან, თუთ მეღვმისა დიაკონნიან
 მოისამართლოს და ეკლესიისა ზეთადა მოაკმაროს.
 კარი სამცხოვრებელთა სამუშაოთა ადგილთა მოაკ-
 მარონ.—თუალი და მარგალიტი ჩემისა ხატისათჳს

*) ეს ოთხი სიტყვა მსჯედულ სიგებით არის და-
 წერილი, როგორც ეტყობა, თუთ დავით აღმაშენებლის
 ხელთა; ამისა შემდეგე-ეი ბოლომდე ხეყუნი ხელა.
 რას ნაშნავს „შედაის შეწყის“ ჩვენ არ ვიცით.



რომელი დამიც და რჩინი ბროლისა სასანთლენი მის ემსახოროს (sic) უკლებად.—ბროლისა ბარძიმი და ბაზიჯისა ფეშუქსი სიწმიდისა განახლებისა სამსახურად მოიკმარებოდის.—სხუთა ჟურჟელი, იავარი სპარსთაჲ, რომელი არსენისდა და ივანესდა მიმითვალაჲს, იგი მისსა ჟამსა ჩემსა მონასტერსა გაგზავნოს ძემან ჩემმან დემეტრე.—ძელი ცხოვრებისაჲ და ნაწილნი წმიდათანი, ორი მოთხე სახეს, ესე თუთ ამას ჩემსა ეკლესიასა შინა იყოს.—წმიდათა დიდთა მარხვათა ყოველთა პარასკევთა ეკლესიას ტფილსა სევისკუძრსა განუყოფედნ საკსენებელად ჩემდა. და პირველისა შეიდულისა პარასკევსა თითო კარასეული მიეცეს, სევისკუძრსა და თესლსათანა შესუან და მილოცონ ესრეთ: „უფალო ღმერთო, დავითს მიუტევენ ბრალნი მისნი სიყრმისა და ცთომილებისანი!“—მემგაფუხე ყოველთა კვირიაკეთა ჩემთვის წირვიდეს ჩემსა ეკლესიასა შინა და მამა მემღვმე მას დღესა სერსა უყოფდეს.—რომელსა დაღესა ჩემი განყოფაჲ იქმანს კორცთა ამათეჲ უბადრუკთა და მრავალ-მკოდველთა, ღამის თევდა და ლოცვაჲ ყონ ყოველმან სიმრავლემან, და მას დღესა ჟამის-წირვაჲ ჩემთვის აესრულებოდის.—მონასტერი, ვითა ბერსა განმანათლებელსა ჩემსა არსენის გაუწესებია და მე ხუდაბუნნი შემეწირავს მუხრანს წმიდისა სუმონ საკურველ-მოქმედისა—და, რომელმან სამისა დღისა მკუდარი აღადგინა, იგი, ვითარცა თუთ არსენი განაწესის, ვერე იქნას (sic).

დამკ. დ. დამაშაძე.
(შემდეგი იქნება)



ყოველად სამღვდლო იმერეთის ეპისკოპოსის ლეონიდის მიბრძანება ზნაზოულის საბლანდოჩინოში.

ამაწლის ილისის პირველ რიცხვებში ყოველად სამღვდლო იმერეთის ეპისკოპოსი ლეონიდი ხარაგაულის საბლაღოჩინო ოლქში მოგზაურობდა ეკლესიების დასახედავით. მათი მეუფება დღეში ორ-სამ ეკლესიაზე მიბრძანდებოდა და ყველგან აუარებელი საზოგადოება ეგებებოდა, რომელსაც დროს შესაფერ სწავლა-დარიგებას გადასცემდა. ნ


ილისს ყოველად სამღვდლო ლორეშის წმ. გიორგის ეკლესიაზედ მობრძანდა. სოფელი ლორეშა უდიდესი სოფელია მთელს საბლაღოჩინოში; იგი შეიცავს 300 მეკოპოსს. თუმცა ყოველად სამღვდლოს მიბრძანება მარტო ორი დღის წინეთ გაცივდეს, მაგრამ მალე მთელმა სოფელმა გაიგო ამავეი ყოველად სამღვდლოს მიბრძანებისა და დანიშნულ დღეს დილით ადრე აუარებელი ხალხი ქალი და კაცი მოაწყდა ეკლესიას. ყველას თვალი მიპყრობლი იყო სოფ. უბისისაკენ, საიღამაც უნდა მიბრძანებულიყო მღვდელთ-მთავარი. დილის ცხრა საათზე სანატრული სტუმარი თვისის მღვდლებით სოფლის ბლოღში გამოჩნდა. შეიქმნა ზარის რეკა. არ გასულა ნახევარი საათი და მისი მეუფება ეკლესიაში შემობრძანდა, სადაც მას წმიდა წყლითა და ჯვრით მიეგება აღგლობრივი მღვდელი. შემდეგ მკირე ლიტის შესრულებისა ყოველად სამღვდლო საკურთხველიდამ აღსაფლის კარებით გამობრძანდა და ამბიონზე გაჩრდა. ამ დროს მღვდელმა სიმონ ქუმბურიძემ მიმართა მის მეუფებსა შემდეგი მოკლე სიტყვით:

„თქვენო ყოველად უსამღვდლოესობაჲ, მოწყალეო მწყემს-მთავარო! მღვდელთ-მთავრის მიბრძანება სოფლის სამრევლოში იშვიათი შემთხვევა არის, ის მთელს ეპოქას შეადგენს სოფელთა ცხოვრებაში და ამიტომ მართლ-მორწმუნე სოფელი, როგორც კი გაიგებს მღვდელთ-მთავრის სოფლად მიბრძანებას, სიხარულით მიეშურება მის სანახავთ, მისგან ლოცვა-კურთხევის მისაღებად და სწავლა-დარიგების მოსაძენად. რამოდენა დიდათ თქვენი მეუფებისადმი საზოგადოების სასოება და სიყვარული, ამაში მე ვფიქრობ, დაგარწმუნებთ ერთი თვალის გადავლება ამ აუარებელი საზოგადოებისა, რომელსაც დაუტოვებია თვისი ჩვეულებრივი საქმეები და გამოშურებია თქვენი მეუფების შესახედრათ. დალოცე და აკურთხე, მეუფეო, ეს საზოგადოება თქვენის მწყემსთ-მთავრული ლოცვა-კურთხევით. ჩვენც ყველანი დიდი პატიარ, მღვდელი და ერი, აღვაღწეოთ უფლისადმი უღირს ვედრებას, რომ მოგცესთ ღმერთმა ჯანმრთელობა, დღეგრძელობა და შეძლება პირნათლად შესარულოთ თქვენი დიდი და წმიდა სამსახური“.

ამ სიტყვების შემდეგ ყოველად სამღვდლომ წარბოსქვა ვრცელი სიტყვა, რომელშიაც ჯერ აკურთხა საზოგადოება ასეთი ვრცელი, მკვიდრი

და განათებული ეკლესიის აღშენებისათვის და მერმე განუმარტა ხალხს დიდი მნიშვნელობა წმ. ტაძრისა და მასში შესრულებული ღვთის-მსახურება; აუხსნა თუ რა შემარცხვენილი, მიცვალებულისათვის უსარგებლო და ეკლესიური წესების დამარღვეველ ჩვეულებებს ასრულებდენ იმერეთში მიცვალებულის დასაფლავების დროს; თუ რა ნაირად ბრკოლდება მიცვალებულის სული, რომელიც ეკლესიის პირით ყველას ლოცვასა სთხოვს და მას კი ხშირი ლოცვის მაგიერ უგულვო ტირილით აწუხებენ. ვრცელი სიტყვით განუმარტა საზოგადოებას ყოვლად სამღვდელთა სწავლა-განათლებლის მნიშვნელობა და მისცა მას წინადადება იზრუნოს ადგილობრივი სკოლის გაუმჯობესებისათვის და სკოლის შენობის გადასაკეთებლად ხაზინიდან ბოძებულ 300 მანეთს დაანაზროს ცოტა რამ თავისი საკუთარი საშვალებიდან. სიტყვის გათავების შემდეგ ყოვლად სამღვდელთა ხელახლა დალოცა საზოგადოება და სათითოულად შენდობა მისცა. დღის 11 საათზე მღვდელთ-მთავარი სოფ. ღორეშიდამ სარგვეს წაბძანდა. იგლისის რვას ყოვლად სამღვდელთა დასარულა რვეიზია ხარაგაულის საბლალოჩინოს ეკლესიებისა და გადაბძანდა შორაზნის საბლალოჩინოში დანარჩენი ეკლესიების დასახედავით.

დამსწრე.



წერილი სოფელ უშმისთავიდან.

(ქუთაისის მაზრა)

სოფელი უშმისთავი შესდგება ას-ორმოცდაათი კომლიდან და უკანასკნელ დრომდე აქ არც ერთი სკოლა არ ყოფილა. მაგრამ ზოგიერთი კეთილი კაცების მეცადინეობით, ამა წლის პირველ თებერვალს დაარსდა სამრევლო სკოლა, რომელშიაც მასწავლებლად დაინიშნა ქუთაისის სემინარიაში კურს დამთავრებული—გერასიმე ხაყოშია. ამდღების დღესასწაულის დღეს ბლომად თავშეყრილ ხალხს ხსენებულმა მასწავლებელმა უთხრა შემდეგი სიტყვა:

„დღევანდელი ჩვენი ცხოვრებისათვის რომ საჭიროა სწავლა-განათლება, ამის დასამტკიცებლად

შორს ნუ წავალთ; მივიხედ-მოვიხედოთ ისევ ჩვენს ოჯახში, ჩვენს სახლ-კარში, დაუკვირდეთ დღევანდელ ჩვენი ოჯახის ცხოვრებას და თვით მას ვთქმევინოთ—საჭიროა თუ არა ჩვენთვის ცოდნა, განათლება. მაშ, ხელ-ჩაიკიდებული წავიდეთ და დავათვალეროთ შენი ოჯახი, შენი ავლა-დიდება

აი შენი სახლიც! ის დგას განცალკევებული საღდაც მთის ძირად; დახურულია ჩალით, რომელიც სიძველის გამო ჩამაპლა და კიდევაც ჩივარდინია. ვეჭვობ, რომ შენ ამ პატარა უფარგის ქოხში სცხოვრობდე, მაგრამ შენ კი პირდაპირ იქ მიგყევარ. შეედივართ, მაგრამ რა საშინლად ბნელა შენს სახლში: მას არ მოეძებნება არც სარკმლები, არც ხეირიანი კარები, რომ სინათლე შემოვიდეს. ალბათ, შენ არ გცოდნია, რომ სინათლე აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ყოველგვარ საღვთისათვის, რომ უსინათლობა და უმზეობა სახლში მიზეზია მრავალგვარ სენთა და ავადმყოფობათა. შენს სახლს არც იატაკი აქვს, არც ქერი და ცა ნიადაგ, ზამთარ-ზაფხულ დაგყურებს ფარდლოლა სახურავიდან. რა უსუფთაობაა შენს სახლში! აი, სქლად კედელზე მტკვრი, და შავი გრძელ-გრძელი მჭვარტლის ყლორტები, აი შენი ლოჯინი, რომელიც დაგებულია სველ და ნამიან მიწაზე, საგებსახურიც ზედ მეტად დარიბული და თხელი გაქვს!

მიკვირს, რისთვის აქამდე არ გამხდარხარ ავად? შენ ყველა ეს კარგი გგონია, ამბობ: „არაფერი მიზეზია“. მაგრამ სიცივე, სინოტივე, უსინათლობა და უსუფთაობა თავისი შერებიან, და აი, შენ გახდი ავად. ავადმყოფი, ფერ-მიხდილი, ლოჯინზე მდებარე კენესი, სწუხარ, იტანჯები, ჯავრობ, გინ და შეიტყო, რა მიზეზით ხარ ავით. ამ შემთხვევაში ნაცულად იმისა, რომ ექიმი მოიხმო და მისგან შეიტყო ნამდვილი მიზეზი შენი ავადმყოფობისა, შენ გზავნი კაცს მარჩიელთან საკითხავად. მარჩიელიც გეუბნება: „შესაწირი გამართებს ამა-და-ამ ხატის ფულით, საქონლით, წაიდ მალე, და-ემგებო, შესწირე და მორჩები“. შენც უფრანგ მარჩიელს, მიდიხარ ნაჩვენებ ხატის მოსალოცავად, ხშირად რამოდენიმე დღის სავალზედ, მივაქვს შესაწირი, სწირავ, ლოცულობ, მაგრამ, დახე უბედობას ყველა ეს არაფერს არ გშველის და, ნაცულად შეღაფათისა, უფრო ავად ხდები. ყველა ხარჯმა და ცდამ ამოათ ჩავიარა. ახლა გკითხავ, რით

დაგემართა ეს, რა მიზეზით გახდი ავით, მიეც შენ თავს ზარალი და შეაწუხე კაციც და ღმერთიც? — უფუნტურობით და შენის უმეცრებით. შენ რომ გცოდნოდა ჯანმრთელობისთვის საჭიროა წმინდა ჰაერი, პატარა, სინათლიანი, ქერ-იატაკიანი, სუფთა ოთახი, მაშინ, მეწერმუნე, ავად არ განდებოდი. შენ რომ გცოდნოდა: მარჩიელი უბრალო მატყუარა კაცია და ქეშმარიტი მკითხხაობის მას არა გაეგება რა, რომ გცოდნოდა მარჩიელობა მხოლოდ ხელობაა ზოგიერთთა ზარმაცებისა, რომელთაც მოუნდომებით უშრომით, ცარცვა-გლეჯით ცხოვრება ქვეყანაში, მაშინ არც ცოდვას ჩაიდენდი დღის წინაშე, რადგანაც მარჩიელობა ურწმუნოების ნიშანია და არც ტყვილა-უბრალო ხარჯს მისცემდი თავს ცხვირის ან ხარის შეწირვით ხატთან, რომელიც არ თხოვლობს შენგან ხორცის ან სისხლის საწირავს, არამედ, როგორც გეტყვის წმ. მეფე დავით: „გულს დამდაბლებულს და სულს შემუსვრილს...“ რომ გცოდნოდა ყველა ეს, არც ზარალს ნახავდი და კარგადაც იქნებოდი. მაშ ხომ დაიჯერებ, რომ ყველა ეს უცოდინარობით მოგივიდა? დიახ, შენ რომ ცოდნა გქონოდა, ყველა ამას ასცდებოდი! მაშასადამე, კაცისთვის საჭირო ყოფილა ცოდნა.

მაგრამ, გადავიდეთ ეხლა შენს მარანში, ვნახოთ შენი სიმიდრე, მოგვებნება შიდა რაიმე თუ არა? წავიდეთ, მაგრამ, შენ აქვე მაკავებ და მეუბნები: „დადრჩეთ აქ, ნუ ვიწუხებთ ტყვილა თავს, რადგან ჩენს მარანში გარდა ცარიელი ქურქლეებისა არა მოიძებნება რა“, მეუბნები: „წინეთ ღვინო ბლომად მომიღოდა, თავზე სასახამი მქონდა, მაგრამ ახლა სტუმრისათვისაც არ მაქვს, გვიდულლობ, რაღაც ქირამ მოსპოვა“. რასაკვირველია, ყველაფერ მართალს მეუბნები, მაგრამ გკითხავ, რით დაგემართა ეს, რით მოგივიდა, რომ ღვინო მოგესპო? ჩვენ რომ დროზე დაგვეკურება ჩვენი ვენახის ავადმყოფობა, ამასთანავე შეგვესწავლა დამყნა და მოშენება ამერიკულ ვაზისა, მაშინ ღვინო არამც თუ მოგვაკლდეზოდა, მართლაც თავზე სასახამი გვექნებოდა. მაშ ღვინით სიღარიბე ჩვენივე დაუღვევრობის და უცოდინარობის ბრალია. ამის ასაცდენად რასაკვირველია, ისევე ცოდნა არის საჭირო.

ახლა დავათვალიეროთ შენი საქონელი, მაგრამ რა ვნახოთ, რაც არაფერი გაგანია! გყავს ორი გახშმარი ხარი და ერთიც ასეთივე ძროხა, ამით ხომ საქონელი არ ჰქვინან! მაგათგან ზარალის მეტს მოგებას ვერ ნახავ! მე კი დარწმუნებული ვარ, რომ შენთვის საჭიროა კარგი ღონიერი ხარი და კარგი მეწველი ძროხები, ვიცა დანამდილეებით, რომ ზაფხულში ხშირად ქირაობ ხენისათვის ხარკამქს. ხშირად ვალსაც ღებულობ ხარკამქთა საჭირავებლად. თუ კი ასეთ საჭიროებას შეადგენს შენთვის ხარკამქი, გკითხავ, რისთვის არ მოგიშენებია იგი? შენ მეუბნები: მოშენებით მოვაშენებ, მაგრამ არ ხეირობს, არ ვარგაო. ეს ტყვილია. თუ კი რუსეთში ხეირობს საქონელი, სადაც თითქმის 9 თვე ზამთარია, ნუ თუ ჩვენში არ იხეირებს, ჩვენში, სადაც ბალახი ზამთარ-ზაფხულ დაუღვევლად არის?! ვისაც ჩვენი ქვეყნის სიმიდრე უნახავს, უთქვამთ: ღმერთს ორივე თავის კალთები კავსაიხიო დაუბერტყნაო. ეს მართალია, მაგრამ ჩვენ არ ვიცით ამ სიმიდრის მოვლა-მოხმარება და სწორედ ამ უცოდინარობის ბრალია ჩვენი უსაქონლობაც. რუსეთში ხშირად შეხვდებით ისეთ ჯიშის ძროხებს, რომელნიც დღეში ცხრა თუნჯ წმინდა რძეს იძლევა და ხარებს, რომელნიც არ ჩამოუვარდებიან სიდიდით და ღონით ჩვენებურ ზანტ კამეჩებს. თუ კი იქ ხარობს ასეთი საქონელი, რასაკვირველია, აქაც მოშენდებოდა, მაგრამ ჩვენ არ ვცდილობთ მათ მოშენებას და არც გვინდა ვიცოდეთ მათი მოშენება. ჩვენ სირცხვილად მიგვანჩნია საქონელზე და წვირლ-ფეხიულობაზე ზრუნვა მაშინ, როდესაც კი ვამრჯელ და მცოდნე კაცს უბრალო ბოსტნითაც კი შეუძლია სიმიდრის შოვნა. ამას წინეთ ერთ გზეთში ამოვიკითხე, რომ ტფილისში წარსულ წელს გაუყენდით მხოლოდ მწვანელი და ხილი 163,±50 მანეთისა. თუ კი ამოდნა ზღვა ფული მწვანელია მოიგო, ხომ ხუთჯერ ამაზე მეტს მოიგებს საქონელი და ვენახი, თუ კი კაცს მათი მოვლა-მოშენება ეცოდინება?! მაგრამ ჩვენ არ გვაქვს ცოდნა და ეს უცოდინარობა კი თავი და თავი მიზეზია ჩვენი სიღატაკისა. ჩვენ რომ ვიცოდეთ კარგად მევენახობა, მებღაობა, მებოსტნობა, მაშინ ყველა მდიდარი და ბედნიერი ვიქნებოდი. ჩვენს ქვეყანაში ხშირად

ჩამოდიან მაგ. ინგლისელები, ფრანგები, რომელნიც თავიანთ ქვეყანაში გაქირვებულად ცხოვრებენ, მაგრამ აქ ცოდნით და შრომით ხშირად მილიონის პატრონები ხდებიან. ცოდნას და მეცადინობას ყველაფერი შეუძლია. სწავლა ერთადერთი საშუალება სულიერ და ნივთიერ სიღატაკიდან ხსნისა, მასშია ჩაკტილი ყოველივე ჩვენი საუნჯე და ბედნიერება.

ამისათვის, ძმებო დროა ჩვენ მოვიკიდოთ ხელი სწავლას, დავეწაფოთ მას, როგორც დიდხინს მშობერ-მწყურვალე, ვეცადოთ დღე და დამეცაქმით, სიტყვით, რომ არ დავრჩეთ გაუნათლებელი, უსწავლელნი“.

წერილი ზეჰო იმერეთელად.

(ჩვენებურა დღეობებისა ცამო).

კაცობრიობის პირველ ხანებიდანვე, როგორც მოგვითხრობს საღმრთო წერილი, ღმერთმა განსხვავებული მნიშვნელობა მისცა ზოგიერთ დღევს, მაგალითად, როდესაც ღმერთმა ეჭეს დღეში ხილული ქვეყანა შექმნა, მეშვიდე დღეს განისვენა საქმეთაგან და უწოდა ამ დღეს შაბათი, რომელიც კაცს ღვთის ვედრებაში უნდა გაეტარებია. შემდეგში კიდევ ზოგიერთ შესანიშნავ შემთხვევათა გამო დაუდევს დღესასწაულები, მაგალითად, ებრაელებს — პასეჟი, მფორმოცდაათე დღე, ტალავართა და სხ. როგორც ესთქვით, ამ დღეებში კაცს ქვეყნიერი ყველაფერი უნდა დაევიწყნა და თვის შემოქმედრი ედღებია. ეს ასეც იქმნებოდა პირველ ხანებში, მაგრამ ბოლოს დღესასწაულებმა დაკარგეს ურიებში მნიშვნელობა და იესო ქრისტეს დროს დღესასწაულ დღეებში მათი ტაძრის გალაფენი წარმოადგენდნენ საჯარო ბაზრებს. აი ამიტომ იყო, რომ ჯერ ისეც იესო ქრისტეს ქვეყნად მობრძანებამდე ღმერთი მრისხანედ ეუბნებოდა მათ წინასწარმეტყველის პირით: „დღესასწაულნი თქვენნი სძულან სულსა ჩემსა“. მას შემდეგ, რაც კაცობრიობის ერთმა ნაწილმა შეიწყნარა ღვთაებრივი მოძღვრის ქადაგება, ამ ახალი მოძღვრების მიმდევრებმა, ქრისტიანებმა, სულ სხვა დღესასწაულები გაიჩინეს. შაბათის მაგიერ

გადღესასწაულდა ერთშაბათი, დღე ქრისტეს აღდგომისა, რომელსაც კვირას ვეძახით. ამას მოყვა საუფლო დღესასწაულები, ღვთის-მშობლის დღესასწაულები, დღესასწაულები შესანიშნავ წმიდათა მოსახსენებლად და სამეფო დღესასწაულები. როგორც თვით სიტყვიდამ „დღესასწაული“ სწინს, უქმე დღეების განწესებას უპირველესად სარწმუნოებრივი მიზანი ქონდა და დღესაც უნდა ქონდესო. ყოველი ქრისტიანი ვალდებულია დღესასწაულებში კარგად გაითვალისწინოს ის შემთხვევა, რომლისა გამოც წმიდა ეკლესიას ესა თუ ის დღესასწაული განუწესებია და ასეთ დღეებში ეცადოს ღვთის ვედრებას და რაიმე კეთილი საქმის ჩადენას. ჩვენში კი, როგორც ძველად ებრაელებში, დღესასწაულებს დაუკარგეთ ნამდვილი მნიშვნელობა და იგი გავხადეთ მიზეზთა უზომო სმა-ქამისა, ერთმანერთის ლანძღვა-გინებისა, ცემა-ტყევისა და ხშირად სისხლისღვრისა. დღესასწაულების ასეთი შეუსაბამო გატარებისა გამო ყოველ შეგნებულ ადამიანს უნდა ჩამოსახადეს მრისხანე ხმა ზეცად ამაღლებულის მაცხოვრისა: დღესასწაულნი თქვენნი სძულან სულსა ჩემსა. და არა თუ ყოველად სახიერ ღმერთს, ცოტათი შესამინდისა და სარწმუნოებრივი გრძნობათა განსძევებულ ქრისტიანესაც უნდა აღაშოთებდეს დღესასწაულების შეუფერებლად გატარება. რომელ ქეშმარიტ ქრისტიანს შეუძლია გულ-გრილად უყუროს, როდესაც დღეობებში საუზმე ნაჭამი ქალისა და კაცის გროვა წირვის დროსაც შეუსაბამო ლაპარაკით და ცეკვა-სიმღერით იკვებს საყდრის გალავანს. ხშირად საყდარში მყოფ უმცირესობას და თვით ღვთის-მსახურების შემსრულებელთაც აღარ ესმისო რიგაინად საღმრთო წირვის სიტყვები გარედ უზომო ურიაშულობის გამო. წირვის გათავებში შემდეგ ხომ უწესობა ერთი ორად მატულობს. ამანიარად, უპირველესი მიზანი დღესასწაული დღეებისა — ღვთის ვედრება და კეთილი საქმეები — ჩვენში მივიწყებულია. ესევე ითქმის შესახებ ზნეობრივი მნიშვნელობისა, რადგან ჩვენებურ დღეობებში უსათუოდ ლანძღვა-გინებისა და ცემა-ტყევისა ყურებით უნდა იჯეროს კაცმა გული. ნივთიერი ზარალი ხომ დიდა და დიდი, რადგან რაც ჩვენ დღეობებში უზომოდ სამსდელ-სამწელი იხარჯება ის რომ ფულად ვიანგარიშით ისეთი თანხა შესდგება, რომლითაც ბევრი კეთილი და სასარგებლო საქმის გაკეთება შეიძლე-



ბოლა. ნამეტურ ბევრი იხარჯება ღვინო. ამაში მე კიდევ უფრო დავრწმუნდი ამა ავგისტოს თუთხმეტს, როდესაც სტუმრად მოვხვდი ერთი შუათანა შეძლების გლენისას. სულ ოც-და-ათი სტუმარი იყო მსმელის და იმ ერთ დღეს უქანასკნელი 30 მან. ღვინო დილილია—ფუთ დღინოზე ხუთი მანეთის ანგარიშით, რომელ ფსაობაშიც მასპინძელს წინა დღეებში გაეყიდა რამოდენიმე საბანსე. ამოდენი ღვინო, რასაკვირველია, ყოველ ოჯახში არ დიხარჯება, მაგრამ თითოეულ ოჯახში დღეობაზე ზომას გარეშე დაღეული ღვინის ღირებულება ერთმანეთზე თუმნად მაინც უნდა ვიანგაროშოთ. თუმანს ხარჯავს უსარგებლოდ ისეთი კაცო, რომელსაც ეკლესიის დაშენებისათვის, ან სკოლის აღშენებისათვის ერთ მანეთს ვერ გამოაღებინებ! აშნაირად, დღეობებისაგან დღეს ვაკილებით მეტი ზარალი წარმოსდგება ვინემ სარგებლობა, მაგრამ უნდა ვიქონიოთ სახეში, რომ დღეობების გადახდა ჩვენში არც ისეთი მავნე, ყოველნაირ ღირსებას მოკლებული, ყველასაგან ადვილად ხელ-წამისაყრაგი და საქვეყნოდ დასაგმობი ჩვეულება არ არის, როგორც უკვე ანდერძ ავტებული იმერული ტირილი იყო. მოგხსენებთ, საოფლის მუდამ შრომისაგან ქედ-მობარბილი ხალხი მოკლებულია ყოველნაირ გართობას. საოფლის ხალხისათვის დღეობებს იგივე მნიშვნელობა აქვს, როგორც ქალაქელებისათვის თეატრს, სალიტერატურო დილა-საღამოებს და სხვა ათას გვარ გასართობებს. ასეა თუ ისე, საწყალი შრომის შვილი დღეობებში თვალს ახელს, ცოტა ხნით მაინც იფიწყებს მისი სიცოცხლის გამამწარებელ ათასგვარ ჭირ-ვარამს, ნახულობს მოკეთეს, ეცნობა უსხო საზოგადოებას და აღებ-მიცემობს აზრით. ამიტომ, ჩემის ფიქრით, უკეთესი იქნება დღეობების მოსპობის მაგიერ საერთო ძალით ვეცადოთ დაფუბრუნოთ მათთვის ნამდვილი დანიშნულება, რაიცა მათ შეიძლება, თუ ამ დღეობებში გვესომება პირველად ღვინის ვედრება, სმა-ჭამაში ზომიერება და ერთმანეთის ცემა-ტყების მაგიერ ძმობა-სიყვარული. შეიძლება ვინემ ბრძანოს: ამეების შესახებ ზრუნვა მღვდლების მოვალეობა არის. დიად, ქრისტიანული სარწმუნოება-ზნეობის განმტკიცება ხალხში უპირველესად სულიერი მამების მოვალეობას შეადგენს, მაგრამ მიუცილებელია ამ ძნელ საქმეში მას ყოველქმშარიტი ქრისტიანი შემწეობას აძლევდეს. ეს შე-

საძლებელია აშნაირად: ყოველ ოჯახში დიდები პატარაებს საკუთარი მავალითით და სიტყვიერი დარბეობითაც უნდა ასწავლიდნენ დღესასწაული დღეების ქრისტიანულად გატარებას; როდესაც ოჯახის რომელიმე წევრი დღეობაში მიდის, სახლში დარჩენილმა ოჯახის წევრებმა დაავალონ მას, რომ მან მიუცილებლად წირვა-ლოცვა მოისმინოს და მხურვალე ლოცვით შეავედროს ღმერთს, როგორც თავისი თავი, ისე მთელი ოჯახობა; დაავალონ მას, რომ ზომიერი იყოს ჭამაში და ნამეტურ ერილოს ღვინით დათრობას. რომლითაც, როგორც მოციქული ბრძანებს, არს სიბოლწე; ვალდებული ვახლან, რომ არავის არაფერი აწყენიონ, მოერიდონ სხვისაგან წყენას და, თუ რამე საწყენი შეხვდეთ, იქონიონ მოთმინება. აგრეთვე მასპინძლები ნუ იუკადრისებენ თითოეულ სტუმარს ოთხი-ხუთი ბოთლის მაგიერ ერთი ბოთლი და ბოთლზე ნაკლებიც ღვინო დაალევიონ. ყველას ასსოვდეს, რომ დიდად საზიზღარია პურის-ჭამის დროს ჩაის ჭიქებით, ბოთლებით, ბათმის ტოლა ყურიანი ჭიქებით და ყანწებით ძალათ ღვინის სმა. სირცხვილი არ არის კაცო, ხატად ღვთისა გაიწილი, უზომო სმა-ჭამისაგან ათასნაირ ზარალს აძლევდეს როგორც თავის თავს, ისე სხვებს? სირცხვილი არ არის გონიერ სხვებს უგუფნური პირუტყვის მავალითით ასწავლიდნენ სმა-ჭამაში ზომიერებას? საზიზღარად და ადამიანურ ღირსებების დამამცირებლად მივიჩნით უზომო სმა-ჭამა. ხელი შეუწყოს ამ აზრის გავრცელებას არა თუ მარტო მღვდლებმა, ყოველმა შეგნებულმა ერის კაცმაც და მაშინ საჭირო აღარ იქნება განცხადებების ბეჭდვა: „ამა და ამ დღეობას აღარ ვიხდით და მეგობარ-ნაცნობები ნულარ მოგვეკარებითო“. ამით დღეობებზე ხარჯი შესაძნეველად შემცირდება და სარგებლობა კი, როგორც სარწმუნოებრივი ისე ზნეობრივი და გონებრივი, დიდი იქნება.

მლ. ს. ჭუმბურიძე.



წერილი მხევიდან (სენაქის ძაშრა).

ადგილის მდებარეობა ძალიან ხელს უწყობს ამ სოფელს წინ წაიწიოს და დაადგეს ნამდვილ განათლების გზაზედ. მოსაზრებე ძველი და ახალი სენაკები საკმაოდ აძლევენ საშუალებას დღიურის ქირვარამის დასაკმაყოფილებლად ამ სოფლის მცხოვრებთ, რომელთა შორის უმეტესი ნაწილი კალატონია, ზოგი დურგალი და სხვა ხელობისანიც. თუმცა არ შეგვიძლია ვსთქვათ, ყველა ერთნაირად იყვეს ნივთიერად დაკმაყოფილებული, მაგრამ სხვა რომ არა ვსთქვათ—მოდენი შეძლება მაინც მოგვარებათ აქაურ მცხოვრებთ, რომ დაბალი სასწავლებლები გაათავებინონ თავიანთ შვილებს. მაგრამ მცხოვრებთა საუბედუროდ, ამ სოფელში არ არსებობს არც ერთი სკოლა—და უსკოლობისა გამო შეგნებული ნაწილი ხალხისა იძულებულია თავისი შვილი გზავნოს სადმე შორს, სადაც ორ-კეცი ხარჯი სჭირდება მათ. ანაირად ცოტა რამ დამაბრკოლებელი მიზეზი საქმარისია მშობლებთათვის, რომ თავიანთი შვილები სამუდამოდ მოაშორონ სწავლას... ესლა კი უმეტესი ნაწილი ხალხისა იძულებულია შეუდგებლობისა და უსკოლობისა გამო თავისი შვილი ან კამეჩს გამოუდევნოს და ან თავისი გამოუდევარი ხელობა ასწავლოს. ამის შემდეგ რაღა გასაკვირია, რომ მხევი ესლანდელს განათლების დროში იგივე მხეფად დარჩენილიყო, როგორც იყო 80 წლის წინეთ, როდესაც ბატონის მონაობის ჭევშ მყოფ მცხოვრებთ საშუალება არ ჰქონდათ მოფიქრებაზე.

ამ სოფელში ორი სამრევლოა. ეკლესიები ორივეში აშენებული არიან მთავარ ანგელოზის სახელობაზედ. ამ უკანასკნელ ხანში პირველ მხევის სამრევლო ორად განიყო: ერთმა, მთაზედ მცხოვრებმა ნაწილმა ხალხისამ თავისთვის აირჩია ძველი, მთაზევე აშენებული ხის ეკლესია, მეორემ კი ბარად თავისთვის აიშენა პატარა ხის ეკლესია. ბევრმა იუყადრისა ახალი ეკლესიის აშენება ვითომდა ძველის პატივსაცემად, მაგრამ უთანხმოება დიდხანს არ გაგრძელებულა და ესლა კი ყველამ გაიგო ამ ეკლესიის მომავალი მნიშვნელობა; თუ იგი ოდესმე ეიორისა განათლებულს მღვდელს და რიგინად მოეწყო—კარგი მომავალი აქვს. ეს ეკლესია ჯერ კიდევ არ არის დასრულებული. თუმცა მღვდელთმთავარმა აკურთხა და ადგილობრივი მსკოვანი

მღვდელი მ. იოანე ქეთარაძე ასრულებს წირვა-ლოცვის დრო გამოშვებით. წინეთ კი ეკლესიის სიმორე საკმაო მიზეზი იყო იმისთვის, რომ უმისო-ლად დაუდგარი ხალხს მთლად დავიწყებოდა წირვა-ლოცვა და კვირა დღეებში მღვდლის ქადაგების მოსმენის მაგიერად—უკანასკნელის გროშების ფლანგვას შესდგამოდა მახლობელს სამიკიტრაოებში—„ძმა-კაცებთან“. შემდეგ მღვდელს საშუალება ექნება ითავოს და ამავე ეკლესიის მინდორზედ სამრევლო სკოლა აავოს მცხოვრებთათვის. ამ ყანად კი ამ ეკლესიის აშენებაში მონაწილეობის მიღებისათვის დიდი მადლობის ღირსი არიან: ამავე ეკლესიის შტატის მღვდელი მ. იოანე ქეთარაძე, პრიჭტ. იოანე ხოფერია და სხვანი, რომელთაც თავიანთი წვლილი არ დაიმურებს ეკლესიისათვის.

გვიმარონი.

გელათობა.

„გელათობა“ ანუ გელათის დღესასწაული იცის რვა ენკენისთვის და ამ დღეს რამდენიმე ათასი სული მლოცავი იკრიბება. ქუთაისის მცხოვრებთა ორი წილი მაინც მიდის ამ დღეს გელათში. ამას კიდევ ის უწყობს ხელს, რომ ამ დროს რამდენიმე მატარებლის მიმოსვლაა დანიშნული რკინის გზის მთავრობისაგან ქუთაისისა და გელათს შუა და ბილეთიც სულ რაღად რვა კაპეიკი ღირს. მაგრამ უბედურება ის არის, რომ ყოველი ამ დღესასწაულს, მატარებლების სიკოტაისს გამო, ქუთაისის სადგურზედ მუდამ რჩება რამდენიმე ათასი სული, გელათში, წასვლის მსურველი, რომელნიც დილიდგან სამხრობამდე დაგან და უყურებენ: „აი, აგერ ჩვენც მოვივია რიგი წასვლისა“...

მეორე უხერხულობა კიდევ ის არის, რომ მხოლოდ თითო ბილეთის კასაა ამ ხალხთა მოზღვაების დღესაც. ამიტომ კასათან დაუსრულებელი სრესა-გლეჯაა და ვაი-უშველებელი. ვინც ღონიერია და მკლავ-მავარი, მხოლოდ ის იმარჯვებს, ბილეთს შოულობს და მიდის კიდევაც, უფრო საცოდავ მდგომარეობაში არიან ქალები, ჯერ ქუთაისში სკირს მათთვის ბილეთის აღება და მეორე გელათის სადგურზე უკან დაბრუნებისას. სწორედ უბედურებაში ჩაკვიდებიან ხოლმე და რაკი ბილეთს ვერ იღებენ, ბევრი ფხებით ბრუნდებიან შინ, ცლით მოლაღული. ამ დღეს, როგორც ყოველთვის ამისთანა შემთხვევაში, ათასი მატყუარა და ჯიბგირ-ქურდ-ბაკაცებით აიყვება ხოლმე სადგური. (ივრია)



ახტალა (ბორჯ მახრა). 8 ამ თვეს ახტალის მონასტერში, ამა ეკკლესიის დღეობას, მწირველი ბრძანდებოდა ექსარხოსი ალექსი. ღამის სათველად დიდ ძალი ხალხი შეიკრიბა გარეშემო სოფლებიდან. აქ ნახავდით სომეხს, ბერძენს და მომეტებული ღამის მთვევლები კი თათრები იყვნენ. მგორე დღეს ექსარხოსი მიიწვია თავის კრებულოთ კნ. ალექსანდრა მაკარის ასულმა მელიქიშვილის ქვრივმა. მათმა შეუფხვამ აქვე ინახულა მელიქიშვილის ქვრივისაგან ახლად ავებული ეკკლესია ახტალაში; ექსარხოსმა ფრიად მოიწონა ეკკლესიის შექმნობა, ავეჯი და შესამოსი, საღამოს უამს მათმა მესუფებამ ამ ეკკლესიაში გარდაიხადა მწუხრი. მეორე დღეს გამოუცხადა მადლობა მელიქიშვილის ქვრივს ექსარხოსმა და გაემგზავრა ივანე ალექსანდრეს ძის მელიქიშვილთან, რომელსაც მათ მეთუფებისათვის მომზადებული ჰქონდა საუზმე და სადილი. თავ. ივანე ალექსანდრეს ძე მელიქიშვილის მოწყობილობამ დიდად ასიამოვნა ექსარხოსი; ელექტრონით კარმიდამოს განათება სწორედ საოცნებო სურათს წარმოადგენდა. ექსარხოსმა ინახულა აგრეთვე ახალის წესით გაშენებული უზარ.მახარი ზვარი თავ. მელიქიშვილისა. ექსარხოსი 8 სექტემბერსვე თავის კრებულოთ გამოემგზავრა ტფილისისაკენ. („ივერია“)

სხვა გადასახადის შეკრებმა თუთხმეტი წლის განმავლობაში. ინდიკტი ნიშნავს თუთხმეტი წლის დროს და სიდაც არის ნათქვამი ამდენსა და ამდენს ინდიკტიონსაო, ეს ნიშნავს დროს, თუ რამდენჯელ შესრულებულა თუთხმეტი წელიწადი.

8. დაბადება ყოვლად წმიდა ღვთის მშობლისა.
9. მოხსენება მესამე მსოფლიო კრებათა, რომელზედაც იყვნენ შეკრებილნი ორასი წმიდანი მამანი და, რომელზედაც დაგმეს სწავლა მწვალებელის ნესტორისა.

13. წმიდისა მოწამისა ქეთევან კახეთის დედოფლისა, რომელიც მტვიდმეტე საუკუნის დასაწყისს იწამა. როცა ვერაფრის ღონით ვერ დაატრევინეს მას ქრისტეს რჯული, პირველად აწვალეს და აწამეს ორი მისი შვილის შვილი — ალექსანდრე და ლეონი. ბოლოს სხვა-და-სხვა საშიშარი წამებისა, დაახურეს თავზე გაფარვალეული ქებაი და ამის შემდეგ განუტევა სული ცამეტ სექტემბერს ათას ექვსას ოცდაათსა წელსა. ფრანგის მისიონერებმა ფარულად წაიღეს გვაში წმიდა მოწამისა და შაპის სიკვდილის შემდეგ, მოიტანეს რამოდენიმე ნაწილი წმიდისა მოწამისა თბილისში. მეფე თეიმურაზმა, წმიდა მოწამის შვილმა ალავერდის ტრაპეზის ქვეშ დაკრძალა იგი.

მატიანე ეკკლესიულ შემთხვევათა.

სექტემბერი.

1. დასაწყისი ინდიკტიონისა, ახალი წლისა. ახალი წელიწადი ებრაელებისათვის იწყებოდა პირველი სექტემბრიდან და არა მარტო ებრაელებისათვის, არამედ სხვა ხალხთათვისაც. სექტემბრის თვე შესანიშნავია ბუნების მოძრაობაშიაც, საღმრთო ძველი აღთქმის ეკკლესიის დადგინებაში, შესანიშნავია დიდი დღესასწაულებითა, ქრისტიანებისათვისაც განსაკუთრებით შესამჩნევია. პირველი მსოფლიო კრების წმიდა მამათა დადგინეს ახალ წლის პირველ დღეთ პირველი სექტემბერი; პირველი სექტემბერი ეკკლესიის ტიბიკონისამებრ იწოდება ინდიკტათ. ეს წოდება წარმოსდგა აფგუსტო კეისრის დადგენილებიდან, რომელმაც ბრძანა სხვა-და-



ქეთევან დედოფალი.

14. ამაღლება წმიდისა და ცხოველს მყოფელისა ჯვარისა უფლისა. ეს ღღესასწაული დაწესებული არს მოსახსენებელად ჯვარის პოვნისა და მისი დაბრუნებისა სპარსთაჲან. 614 წელს სპარსეთის მეფემ დაიპყრო იერუსალიმი, წაიღო იერუსალიმის ტაძრიდან წმიდა ნივთები და ამ ნივთებთან წაიღო ნაპოვნი ჯვარიც. 628 წელს საბერძნეთის მეფემ გაიმარჯვა სპარსელებზე და შეურიგდა მათ და ამ შერიგების დროს დაიბრუნა ყველა წმიდა ნივთები სპარსეთის მეფიდან. ამ დღეს დაწესებულია მარხვა მოსაგონებლად იესო ქრისტეს ენებისა ჯვარზე.



18. ხსენება წმიდისა მთავარ-მოწამისა ბიძიანისა და ნათესავთა მისთა მოწამეთა ელისბარის და შალვისა ქსნის ერისთავთა. წმიდა ბიძინამ, დიდებულთა შთამომებისამ ჩოლოყაშვილთაჲან, იხილა რა აოხრება ტაძართა, ამოწყვეტა ქრისტიანეთა, გარდასახლება ქართველთა სპარსეთში და გადმოსახლება სპარსთა ულუსთა მათ მაგიერად 1642—1667 წ., აღსდგა თავისი ნათესავებით—ელისბარით და მისი ნაწილებით ძმის წულით—შალვათი, წინააღმდეგ, საქართველოში დამკვიდრებულ, სპარსთა და სრულგებით ამოხოცა იგინი 1659 წ. შეიტყო თუ არა შაჰიმ ეს ამბავი, უბრძანა მათი შეპყრობა და წაყვანა ისპაგანში, სადაც შაჰის ბრძანებით ქრისტეს აღმსარებელნი და მახმადის სარწმუნოების უარ მყოფელნი იყვნენ წამებულნი და ტანჯულნი, და, ბოლოს, ნაწილ-ნაწილად დაჭრილნი და თავებ წაკვეთილნი 1661 წელსა. რამდენიმე წლის შემდეგ, ქეთევანმა, შალვას მეუღლემ თავისი შვილის დავითითურთ—ქსნის ერისთავით, 18 სექტემბერს ნაწილი მათი გადმოსაყენეს საქართველოში და დაკრძალა იკორთის მთავარ-ანგელოსთ ეკლესიაში, რომელიც დღეს გაუქმებულია (იკორთი გორიდან არის 25 ვერსზე და თბილისიდან 88 ვერსის სიშორეზე).

ი ს ე ი დ ე ბ ი ა ნ

ღგანოზი დავით დამბაშიძისაგან შედგენილი და გამოცემული წიგნები:

თბილისში, წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნის მალაზში, ქუთაისში—*«მწყემსი»*-ს რედაქციის სტამბაში, ძმ. კლაძეებისა და ე. ბეჟენიშვილის წიგნების მალაზებში და ყვირილაში—თეთრ გამოცემელთან.

1. საეკლესიო და ღვთის-მსახურების წიგნები.

1. ლოცვანი ნახატებიანი, გამოცემა მესამე. მართლმადიდებელი ეკლ. უმთავრესი ღღესასწაულების ისტორიული მოთხრობით. ამ ლოცვანში არის მთელი წლის ტროპარ-კონდაკები, სერობა, პარაკლისი ღვთის-მშობლისა და ზიარების ლოცვა. აგრეთვე ამ ლოცვნის სრულს თვეთა მეტყველებაში არიან ჩართულნი საქართვე. წმ-დანები მათი ისტორიული მოთხრობით და ტროპარ-კონდაკებით. ფ. ყლით 50 კ. და უყლათ . . . 40 კ.
2. წესი სხეულის ზიარებისა და ცრცელი პანაშვილისა, ფსი . . . 10 კ.
3. სოცხლთა და გარდაცვალებულთა მოსახსენებელი კონდაკი (კარგის ყლით) ფ. . 30—
4. მონდაკი იოანე ოქროპირის წირვისა უყლით 40 კ. კარგი ყლით . . . 60 >
5. შემოკლებული ლოცვანი ანბანით და თორმეტი საუფლო ღღეების ტროპარ-კონდაკებით ფ. . . 5 >

2. სასაწყო და სახელმძღვანელო წიგნები.

1. ღარიგება საღმრთო სჯულის სწავლებაზე, რომელიც ოქმ. სინოდსაგან მოწონებულია როგორც სასაწყო საღმრთო სჯულისა სხეკლესიო-სამწველო და სხვა პირველ დასაწეს სკოლებში—ფსი . . . 30 კ.
2. იკვე ღარიგება საღმრთო სჯულის სწავლზედ რუსულს და ქართულს ენაზე ხმის ამხლებ-ს ნიშნებით—ფსი . . . 40 კ.
3. დაწყებითი გავფორცილი საღმრთო სჯულის სწავლებაზე, ფსი . . . 15—
4. ახალი სასულიერო კონსისტორიათა წესდებულება—ფსი . . . 40 კ.
5. მღვდელთათვის საიდუმლოების შესრულების

ღროს საქრო ს.ხელმძღვანელო წიგნი—

ფასი ყლით 20 კ.
6. საქართველოს საეკლესიო ისტორია ფასი 45 კ.

3. სამკურნალო წიგნები და დარჩევა ჯან-
მრთელობის დაცვაზე.

- 1. ანალო კარბადინი, მკორე ვამოცემა და-
მატეობი, რომელიც განხილული, ზოწო-
ნებული და ნება-დართულია კავკასიის
საექიმო რჩევა-სავან — ფასი 1 მ.
- 2. ღარიგება მხედველობა და ცეცხსა და თვა-
ლების მოვლაზე, ეასი 10—

4. შესანიშნავი მონასტრები და ეკლესიები
და ამ მონასტრების აღმშენებელთა ცხო-
ვრების აღწერილობანი,

- 1. მცხეთის ტაძარი და წმიდა ნინო, ქართ.
განმანათლებელი, ფასი. 25 კ.
- 2. ბელაისის მონასტერი და ცხოვრების აღ-
წერილობა მიფას დაეით აღმშენებ. 25 კ.
იგივე რუსულ ენაზე 20 "
- 3. შიო მღვიმის მონასტერი და ცხოვრების
აღწერა ღირსისა მამისა ჩვენისა შიოსი 5 კ.
- 4. ეთაპარ-მოწ. დამით და კონსტანტინე
და მოწამეთის მონასტერი.—ფასი 5 კ.
იგივე რუსულ ენაზე 10 კ.
- 5. მარძიის მონასტერი, ფასი 5 კ.
- 6. მარტვილის მონასტერი 2 კ.

5. საუფლო და ღვთის-მშობლის ღვთისსწაუ-
ლების აღწერა ზნეობრივ სწავლა დარჩევით.

- 1. ღვთის-მშობლს დაბადება, სურათით 2—
- 2. ტაძრად მიყვანება ღვთის-მშობლისა, ფ. 2—
- 3. ამალღება პატრიოსნისა და ცხეველს-მყო-
ფელისა ჯგერისა, სურათით 2—
- 4. შობა უფლისა 2 კ.
- 5. მიჩება უფლისა, სურათით.—ფასი 2—
- 6. ხარება ყოვლად ღვთიან ღვთის-მშობლისა 2—
- 7. ბეობა სურათით—ფასი 2—
- 8. აღდგომა სურათით—ფასი 2—
- 9. მიძინება ყოვლად წმ. ღვთის-მშობლისა, 2—
- 10. ბელთუქელი ხატის ისტორია 3 კ.

6. მოწამენი, ღირსნი მამანი და დედანი სა-
ქართველოს ეკლესიისა, შესანიშნავი საქარ-
თველოს მეფენი და დედოფალნი:

- 1. წმიდა მ-წამე რაქვენი, სურათით, ფასი 5 კ.
- 2. წმ. ნინო ქართველო განმანათლებელი 2—
- 3. მიფე ღვთი შესავე აღმშენებელი 5—
- 4. ტაძარ მეფე, სურათით 5—
- 5. გიორგი თაწმირელი 10—
- 6. იოანე ზედაზნელი 5—
- 7. შუზანიკი 3—
- 8. ქვეყან დედოფალი 2—
- 9. არჩილ და ლოარსაბი 5—
- 10. მეფე დავით III აღმშენებელი 5—
- 1. იგივე ვრცელო 15 >

7. რელიგიური და ზნეობრივი შინაზნის
წიგნები და საუბრები:

- 1. ღვიდანი გვადელ-მთავარნი: ბანილი
დიდი, ბრიგორი ღვთის-მთავარი და
იოანე მოძარპირი, სურათებით—ფასი 5—
- 2. როგორ უნდა ვმარხულოდეთ —ფასი 3—
- 3. სხოვარება წმ. გოც. სწორის დიდის
მთავარის ვლადიმირისა 2—
- 4. ანდრი პირველწოდებული, ისტორიული
პოემა აუკუსა, ფასი 5—
- 5. სიკვდილი მართლისა, კონსტოპლიკილა-
ტის გეულის წამილი 5—
- 6. ხმა მოძღვრისა სამწესოსადმი. საუბარს უსწავლა
იესო ქრისტესი 3—
- 7. შეილები ზოვადობა მშობელთადმი 3—
- 8. მშობლების მოვალეობა შეილთადმი 3—
- 9. ეინ არიან ჩენი ცხოვრების მტერი და როგორ
უნდა ეძლიოთ მათ 3—
- 10. იუნჯედით საუნჯესა ცათაშინა 3—
- 11. საუარი ღვთის სიტყვაზე 3—
- 12. — შომაზე 3—
- 13. სამგვარი სიკვდილი 5 "

8. მოთხრობანი დაბადებიდან.

- 1. გეფე სოლომონ-ბრძენი სურათით—ფ. 5—
- 2. მათეოი (მოთხრობა დაბადებიდან) სურ. 5—
- 3. სიბრძენი იოა ძისა ზირაქისა, სურათით. 5—
- 4. იოსები 5—

სატეტი და მსატგრობანი.

იმეკონებინ პატაა იაფ-ფასიანი-სატეტი ფიცარზხ სამ-ოთხ გოჯიანი ფასი 5—10 კ. სატეტი არი-მაცხოვრის, ივერის ღეთ-ს-მშობლი, წმიდა გიორა გის, ანდრია მოციქულის, პირველ წოდებულისა დე ათ თორმეტთა დღესასწაულთა. ვინც დაიბარებს ხა ჭებს არა ნაკლებ ოციან, იმათ ჩენს საქართლო-ში ყველგან ფოსტის გასაგზავნი არა ვარდახუგბა ამასთან იმეკონება სქელ ქალღმრთე ნახატი წმიდა ნინასი, საქართველოს განმანათლებელისა ეარაყით 6+7 გოჯიანი ფასი 15 კ. ფოტო-ტიპითი დახატუ-ლი წმიდანი მთავარ-მოწამენი დავით და კონსტან-ტინე 6+5 გოჯიანი ფასი 5 კ. ამავე ზომისა და ამისთანავე სახით წმიდა ნინო ქართველთ განმანათ-ლებელისა და დავით აღმაშენებელისა ფ. თათოსი 5 კ.

ვინც ჭემო აღნიშნულ წიგნებს გამოიწერს არა ნაკლებ ერთი თუშისა, მას მანეთზე დაეთმობა 30 კ. ცხც ორ კაპიან წიგნავეს დაიბარებს არა ნაკლებ ასი ცალისა, ის ფოსტით გასაგზავნს არ იხდის.

იმეკონება აგრეთვე მრავალი პატაა გუფსაიკ-დი სატეტი ფერკადუეალი ლათონისა, სახელდობრ: ნი-ნოსი, დავით და კონსტანტინეს, დავით აღმაშენ-ებლისა, თამარისა, ანდრია პირველ წოდებულისა და წმიდა გიორგისა, ფასი თითოსი 5 კ. ვინც ასს და-იბარებს ნაღდ ფულზე, მას გაგზავნით დაეთმობ. სამ მან. ესეთი იმეკონებინ ვერცხლიაჲც, ფასი 40 კა

11. მსატგრობანი სასულიერო და საერო მოღვაწეთა.

- 1. შოთა რუსთაველი. 25 კ.
- 2. აკაკი წერეთელი 25 კ.
- 3. თაბაძე ძეგვი 25 კ.

იმეკონება აგრეთვე შესავალი-გასავალის წიგნები და ყოველგვარი ძოწმ. ღონეკები და ამოწერილობანი.

დ. სარხარაუმი

განმავლელი სერგი ჯინჯვალაუ-ვილი ასწავლის ქართულს ბალოვანს

წიგნების საშუალებით.

მ ა ლ ე ბ ი ს პ რ ო ზ ი მ ნ ა ზ ი ა

ელენე ბახტაძისა

დ. ხოუნუმი

ამით აცხადებს, რომ მოსწავლეთა მიღება უძცროს და უფროს მოსამზადებელ, პირვე-ლი, მეორე, მესამე და აგრეთვე წელს გახ-სნილ **მეოთხე** პრეგიმანსიულ კლასებში დაიწება 20 აგვისტოდამ და გაგრძელდება მთელი წლის განმავლობაში. თსოვნები უნდა გამოტყვენონ პრეგიმანსიის უფროსის—**ულანე ბახტაძის** სახელობაზე. სწავლის საფასურნი როგორც მოსამზადებელ, ისე პრე-გიმანსიულ კლასებში 30 მან. წელიწადში.

ვ ი ნ ა ა რ ს ი:

სალიტერატურო ბანძოვილება: ერთი სამწუხარო და ამავე დროს სასიამოვნო მოვლენა. დეკ დ. ლამბაშიძე.—ქართული ვალბა ყვერილის ეკკლესიაში.—ეკკლესიის სოცი-ალიზმთან მიუცილებელი წინააღმდეგობა. მღ. კ. ანთაძე.—ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსის ლეონიდისაგან დღესასწაულობითი წირვა შიო-მღვიმის მონასტერში 21 წარ-სულ თებერვალს, ყველიერის ხუთშაბათს. დეკ. დ. ლამბაშიძე.—ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსის ლეონიდის მიბრძანება ხარავაულის საბლაღოჩინოში.—წერილი სოფელ ყუმისთავიდან.—წერილი ზემო იმერეთიდან. მღ. ს. ტუმბუ-რიძე.—წერილი სოფ. შხვიდან.—ეკიმარიანი.—გელათისა.—ახტალა.—მატიანე ეკკლესიურ შემთხვევათა.
—განცხადება.